

ქართული პოლიტიკური სკანდალის მატრიცა

გიორგი პატარკაციშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე სოციოლოგიის მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

სოციოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: მაია არავიაშვილი, სოციოლოგიის დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2018

სარჩევი

აბსტრაქტი.....	ii
Abstract.....	iii
შესავალი.....	1
თავი 1. აქტუალობის დასაბუთება.....	4
თავი 2. თეორიული ჩარჩო	7
2.1 დაფუძნებული თეორია და მისი შინაარსობრივი მახასიათებლები	7
2.2 დაფუძნებული თეორია და გავლენები.....	9
2.3 დაფუძნებული თეორია და კვლევის პროცესი.....	10
2.4 პოსტმოდერნული თეორია	13
2.5 სიმულაკრები და სიმულაციები.....	14
თავი 3. პირველადი სოციოლოგიური ინფრომაციის შეგროვება.....	17
3.1 დაფუძნებული თეორია. პრინციპები, კვლევის ეტაპები.....	18
თავი 4. კვლევის შედეგები, ქართული პოლიტიკური სკანდალის მატრიცა	21
4.1 მეტაკატეგორია: საერთაშორისო პოლიტიკური სკანდალი.....	21
4.1.1 საერთაშორისო ურთიერთობები (კატეგორია ა.1.) და მისი ქვეკატეგორიები სახელმწიფო პირები (კატეგორია ა.1.1.), არასახელმწიფო პირები (კატეგორია ა.1.2.)	25
4.1.2 სახელმწიფო დარღვევები (კატეგორია ა.2.) და მისი ქვეკატეგორიები არაკომპეტენტურობა (კატეგორია ა.2.1.), სისხლის სამართლის დარღვევები (კატეგორია ა.2.2.)	27
4.2 მეტაკატეგორია: ეროვნული (შიდა სახელმწიფო) პოლიტიკური სკანდალი.....	32
4.2.1 ძალაუფლების არამიზნობრივი გამოყენება (კატეგორია ბ.1.)	35
4.2.2 პირადი, ოჯახური ცხოვრება (კატეგორია ბ.2.)	38
4.2.3 ინტერპარტიული ურთიერთობები (კატეგორია ბ.3.).....	41
4.2.4 სოციოკულტურული დევიაცია (კატეგორია ბ.4.)	42
თავი 5 სიმულაკრები და სიმულაციები ქართულ პოლიტიკურ სკანდალში.....	44
დასკვნა	51
ბიბლიოგრაფია	58

აბსტრაქტი

წინამდებარე კვლევა წარმოადგენს დაფუძნებული თეორიის პრინციპებით გაანალიზებული, 300 სტატიის შედეგად შექმნილ ქართული პოლიტიკური სკანდალის მატრიცას. დაფუძნებული თეორია გულისმობს მონაცემის ანალიზსა და პატერნების აღმოჩენის შემდეგ ამოღებულ ინფორმაციაზე თეორიის დაფუძნებას. დაფუძნებული თეორიის მიხედვით, პატერნები ჩვენს მიერ შერჩეულ სკვლევ მონაცემში უკვე არსებობს. სწორედ მისი აღმოჩენაა მკვლევარის საქმე, დაფუძნებული თეორიის სისტემატიზირებული მეთოდის დახმარებით. აღნიშნული პოლიტიკური სკანდალის მატრიცის საშუალებით და ჯგუფების დეფინიციაზე დაყრდნობით, შესაძლებელია ქართული პოლიტიკური სკანდალის შინაარსის სრული სპექტრის ამ განსაზღვრულ კატეგორიებში კლასიფიცირება. აღნიშნული პოლიტიკური სკანდალის მატრიცა წარმოადგენს მონაცემზე დაფუძნებულ თეორიას, რომელიც პოლიტიკური სკანდალის გამარტივებული კლასიფიკაციის კარგი საშუალება, იმის გათვალისწინებით, რომ კვლევის დროს გამოყენებულ იქნა პოსტმოდერნული თეორია და მისი შეხედულებები. პოლიტიკური სკანდალის მატრიცას არ გააჩნია სხვა ქვეყნებზე განზოგადების პრეტენზია, რადგან ის, თუ რა აღქმება პოლიტიკურ სკანდალად ხშირად დაკავშირებულია ქვეყნის კულტურულ გამოცდილებებთან.

კვლევის საინტერესო მიგნებად შეგვიძლია ჩავთვალოთ საკვლევ მასალაში აღმოჩენილი პოლიტიკური სკანდალის, როგორც ასეთის, სიმულაციის ფაქტები, რომელიც ხორციელდება როგორც ოპოზიციური პარტიების, ასევე მთავრობისა და მედიის მხრიდან, რაც საშუალებას გვაძლევს ვთქვათ, რომ პოლიტიკური სკანდალის სიმულაცია მისი ზოგადი მახასიათებელია და არა დამოუკიდებელი კატეგორია მატრიცაზე.

Abstract

This research provides the matrix of political scandals in Georgia, by analysing 300 publications and using principles of the Grounded theory. Grounded theory works by finding patterns in analysed data and by establishing the thesis based on the information taken from the raw data. According to the Grounded theory, patterns in our research field are already clearly visible and it is the researcher's job to find them by using systematic methodology provided by the said theory. With the help of the above-mentioned matrix and by defining the participant groups, it is possible to classify the entire spectrum of Georgian political scandals into defined categories. This matrix represents the theory based on the analysed raw data, providing an excellent tool in analysing political scandals in a relatively simple way considering the fact that the postmodern theory and its perspectives are used in the research. At the same time, this matrix cannot be used universally on every country/culture, since the exact definition of scandal is often closely tied to the specific cultural experiences of a given country/culture.

One of the interesting findings of the research is the following: Simulating facts that have no relevance on their own and presenting them as scandals both from the government and opposition groups, cannot be considered as one of the subcategories within the matrix, given its unique intrinsic usability in any possible category. Therefore, simulation of a scandal is not dependent on the matrix and exists entirely independent of the given spectrum.